P.S.

თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

რამდენად ენდობიან ქუთაისელები სასამართლოს?

ამ კვლევით, სასამართლოს მომხმარებელთა კმაყოფილება შეამოწმეს

იხილეთ მე-4 გვერდზე

ქუთაისის მერობის კანდიდატს ხათუნა მაჭავარიანს „გადაგდებაში“ ადანაშაულებენ

იხილეთ მე-2 გვერდზე

№23 (711) 7 - 13 ივლისი, 2014 | გამოდის 1995 წლიდან | ფასი: 70 თეთრი | PSnews.ge

ეწვიეთ გაზეთ „P.S.“-ის განახლებულ საინფორმაციო ინტერნეტპორტალს www.psnews.ge-ს, ყოველდღიურად იკითხეთ ცხელ-ცხელი ამბები და იყავით ინფორმირებული!

ივანიშვილის კაპრიზი, თუ კანონზე მაღლა არავინ დგას?

დედაქალაქის ყოფილი მერი გიგი უგულავა დაკავებულია. ის 3 ივლისს აეროპორტში დააკავეს. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი საზღვარგარეთ მიფრინავდა ოფიციალური ვიზიტით, საგამოძიებო ორგანოების აზრით კი ის, უბრალოდ, გაქცევას აპირებდა. გიგი უგულავას ბრალი უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციასა და ე.წ. მარნეულის ეპიზოდთან დაკავშირებით წარედგინა.

როგორც დედაქალაქის ყოფილი მერის ადვოკატმა გიზო უგლავამ განაცხადა, მისი დაცვის ქვეშ მყოფი თავს დამნაშავედ არ მიიჩნევს და მიაჩნია, რომ მისი დაკავება პოლიტიკური გადაწყვეტილებაა.

„ყველასთვის სიურპრიზი იქნება ალბათ ის, რომ უკვე დაანონსებულ უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციას და ყალბ დოკუმენტს დაემატა მარნეულის ეპიზოდი, რომელშიც მას ბრალი წარედგინა ჯგუფური მოქმედების ორგანიზებისა და იძულებისთის. რა თქმა უნდა, უგულავა თავს არ სცნობს დამნაშავედ, მიიჩნევს, რომ უკანონოდაა დაკავებული. შესაბამისი მოთხოვნა უკანონოდ დაკავებულის გათავისუფლების შესახებ უკვე დავაყენეთ გამომძიებლის წინაშე. მასალების ნაწილი ახლა გადმოგვეცა, გავეცნობით და თუკი არ გათავისუფლდა, როგორც უკანონოდ დაკავებული, შესაბამისი პოზიციით წარვდგებით სასამართლოდ წინაშე,“ — განაცხადა გიზო უგლავამ. თბილისის ყოფილი მერი გიგი უგულავა 3 ივლისს, აეროპორტში მაშინ დააკავეს, როდესაც ის საზღვარგარეთ მიემგზავრებოდა.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

საქართველო-რუსეთი. საქმე №1. განაჩენი საქართველოს სასარგებლოდ

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სახელმწიფოთაშორის საქმეზე „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ“, რომელიც 2006 წელს რუსეთიდან ქართველების მასობრივ გაძევებას უკავშირდებოდა, გადაწყვეტილება საქართველოს სასარგებლოდ გამოიტანა.

მოსამართლემ წაიკითხა გადაწყვეტილების მხოლოდ დასკვნითი ნაწილი. სრული ვერსია გამოქვეყნდება სასამართლოს საიტზე. სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ შვიდწლიანი განხილვის შემდეგ გადაწყვეტილება ღია სხდომაზე გამოაცხადა. სასამართლოს დიდმა პალატამ გადაწყვეტილება მხარეების — საქართველოს და რუსეთის — წარმომადგენლების თანდასწრებით გამოაცხადა. საქართველოს სახელით გადაწყვეტილება იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა ჩაიბარა. აღნიშნულ საქმეზე სახელმწიფოს ინტერესებს სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოს იუსტიციის სამინისტრო იცავდა. რუსეთის მხრიდან გადაწყვეტილებას რუსეთის იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ამერიკელი მუსიკოსის ქართული შემოქმედება და სიყვარული, რომელსაც საზღვრები არ აქვს

იხილეთ მე-5 გვერდზე

თორნიკე მარჯანიშვილი: „ოპერის თეატრი დღეს ქუთაისისთვის ძალიან საჭიროა“

იხილეთ მე-5 გვერდზე

სოციალურად დაუცველთა მდგომარეობის შეფასება ახალი კრიტერიუმებით მოხდება

იხილეთ მე-3 გვერდზე

იხსნება თუ არა ქუთაისში კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე შენობაში კომერციული ფართი?

იხილეთ მე-5 გვერდზე

95 ათასი ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან „საზაფხულო დასვენების“ პროგრამისთვის

იხილეთ მე-5 გვერდზე

„ქუთაისი — ეს მუშაობს“ — კვლევის შედეგები

იხილეთ მე-7 გვერდზე

პოლიტიკური კარიკატურების გამოფენა ქუთაისში

იხილეთ მე-7 გვერდზე

ქიმერიონი
qimerioni.ge
წიგნების მაღაზია
მისამართი: ქუთაისი, „პოპული“; ტელ.: 790 927 927.

წიგნები შენ გელოდება!
ქუთაისი, საფაჯრო ცენტრი „პოპული“, წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“. ტელ.: (790) 927 927.

PSnews.ge

ISSN 1987-7056

სკანვორდი — გვ. 7 | კროსვორდი — გვ. 7

ივანიშვილის კაპრიზი, თუ კანონზე მაღლა არავინ დგას?

პირველი გვერდიდან

„ნაციონალური მოძრაობის" თბილისის მერობის კანდიდატი ნიკა მელია პარტიის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელის, დედაქალაქის ყოფილი მერის გიგი უგულავას დაკავებას ეხმაურება. როგორც მელიამ განაცხადა, უგულავას დაკავება მაშინ, როცა წინ არჩევნების მეორე ტურია, არის პოლიტიკური აქტი, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის" დემორალიზაციას და დაშინებას ისახავს მიზნად.

„სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ ეს არ და ვერ მოხდება, ამ მეთოდებით შეუძლებელია ჩვენი განადგურება და ფორმიდან ამოგდება. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ როდესაც სუბიექტები საარჩევნო პერიოდში იმყოფებიან, ამდაგვარ პოლიტიკურ დაკვეთებს ადგილი არ ჰქონდეს, მაგრამ ძალიან სამწუხაროა, რომ მსგავსი პირობები ყველაზე ჩამორჩენილ და განუვითარებელ ქვეყნებშიც კი არ აქვთ ოპოზიციურ ძალებს, ამ შემთხვევაში, „ნაციონალურ მოძრაობას". მინდა, ძალიან გულწრფელად ვთქვა, რომ არათუ უარს ვამბობთ ბრძოლაზე, პირიქით, როგორც არასოდეს, დღეს ვგრძნობ გაათმაგებულ ენერგიას ჩემს მეგობრებში, გაათკეცებულ მონდომებას, რომ შევიდეთ ამ ბრძოლაშიბ სადაც მოვიპოვებთ გამარჯვებას," — განაცხადა ნიკა მელიამ.

თბილისის მერობის კანდიდატმა მხარდამჭერებს, რომლებიც პირველ ტურში არჩევნებზე არ მივიდნენ, მოუწოდა, ეს შეცდომა მეორე ტურში გამოასწორონ და „უსამართლობას საარჩევნო ყუთებთან გასცეს პასუხი".

გიგი უგულავას დაკავებას საქართველოს ყოფილი პრეზიდენტიც გამოეხმაურა. მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, კანონზე ზემოთ არავინ დგას, მაგრამ პოლიტიკური პროცესის ჩანაცვლება პროკურატურის და სასამართლოს მანიპულაციებით, ყველგან ძალიან ცუდად მთავრდება. სააკაშვილი გიგი უგულავას დაკავებას, მურთაზ ზოდელავას დაკითხვას და აზერბაიჯანში საპარლამენტო უმცირესობის დეპუტატებთან დაკავშირებით მომხდარ ინციდენტს კიევიდან გამოეხმაურა.

„ასე თანამედროვე სამყაროში დიდი ხანია, არავინ მოქმედებს. რა თქმა უნდა, კანონზე ზემოთ არავინ დგას, მაგრამ პოლიტიკური პროცესის ჩანაცვლება პროკურატურის და სასამართლოს მანიპულაციებით, ყველგან ძალიან მოკლევადიანია და ყველგან ძალიან ცუდად მთავრდება. ჩვენ არ გვჭირდება საქართველოში ექსცესები და შემდგომი გართულებები... უგულავა დადიოდა, მაგრამ არასოდეს გაჩენია სურვილი სხვაგან დარჩენის. თუ ვინმეს ჰგონია, რომ უგულავას დაკავებით პოლიტიკურ პროცესებს ჩაშლის, არჩევნებში გარდატეხა მოხდება, ხალხი დაშინდება, სხვანაირად მიიღებს გადაწყვეტილებას, ან ჩემზე ან გიგიზე, ან ვიღაცაზე დგას ეს დიდი იდეა და მოძრაობა, მე ვფიქრობ, ეს არის ძალიან არასწორი აზროვნება," — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

„...რა შუაშია აქ პოლიტიკური დევნა?!"

ვიცე-პრემიერის კახა კალაძის განცხადებით კი თბილისის ყოფილი მერის დაკავება სიახლე არ არის, რადგან ამ მიმართულებით გამოძიება დიდი ხანია მიმდინარეობს.

„ძალიან ბევრი კონკრეტული თემა არის, რომელზეც ბატონ უგულავას განმარტებების გაკეთება და კითხვებზე პასუხის გაცემა მოუწევს. ჯერჯერობით არ ვიცნობ საგამოძიებო განცხადებას და უფრო დეტალურად, მათი განცხადების მოსმენის შემდეგ შემიძლია ვისაუბრო," — განაცხადა კალაძემ.

„როდესაც საუბარია, რომ არსებობს ეჭვი ძალიან სერიოზულ ფინანსურ დარღვევებზე, სახელდება კონკრეტული ციფრები, კონკრეტული ქმედებები, რომლის განხორციელებაშიც ერთი კონკრეტული ადამიანია ეჭვმიტანილი, რა შუაშია აქ პოლიტიკური დევნა?! პოლიტიკური დევნაა, როდესაც საფრანგეთის პრეზიდენტი დაკითხვაზე წაიყვანეს და პატიმრობაში დატოვეს იმ პერიოდით, რა პერიოდითაც სჭირდებოდათ? დარწმუნებული ვარ, ბოლოს სკეპტიკოსებიც დარწმუნდებიან იმაში, რომ კონკრეტული დანაშაულის გამოძიება სამართალდამცავების საქმეა, რომ კანონზე მაღლა არავინ დგას და რომ პოლიტიკური დევნა აბსოლუტურად უადგილო შეფასებაა," — განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ.

იგი უგულავა

გიგი უგულავას დაკავებასთან დაკავშირებით განცხდება გაავრცელა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია). გავრცელებული და შესწავლილი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ უგულავას საქმესთან დაკავშირებით, როგორც მთელი რიგი გარემოებები მიუთითებენ, სამართალდამცავი ორგანოების მოქმედება სათანადო დასაბუთებლობას და დამჯერებლობას მოკლებული იყო.

კერძოდ, როგორ ცნობილია, ე.წ. „სითი პარკის" საქმეზე სასამართლომ არ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა და ბრალდებულ გ. უგულავას აღკვეთი ღონისძიების სახით არ შეუფარდა გირაო. ასევე არ დაკმაყოფილდა პროკურატურის შუამდგომლობა პირადობის მოწმობისა და პასპორტის ჩამორთმევასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ე.წ. „სითი პარკის" საქმეზე არ არსებობდა სასამართლოს მიერ მიღებული რაიმე აქტი, რომელიც უგულავას საზღვრის გადაკვეთის უფლებას შეუზღუდავდა.

სამართალდამცავი ორგანოებისა და ხელისუფლების წარმომადგენლები განმარტავდნენ, რომ ბრალდებული გუუგულავა საგამოძიებო სამსახურმა გააფრთხილა, რომ საზღვარი არ უნდა გადაეკვეთა, ხოლო გ. უგულავა არ აპირებდა დამორჩილებოდა ამ მოთხოვნას, რის გამოც მისი დაკავება გამართლებული იყო. ამასთან დაკავშირებით საია განმარტავს:

„საქმის მასალებში მართლაც არსებობს 30 ივნისით დათარიღებული „ოქმი ბრალდებულის გაფრთხილების შესახებ", სადაც მითითებულია, რომ გ. უგულავა გაფრთხილებულია, რომ „მან არ უნდა გადაკვეთოს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი და არ უნდა დატოვოს ქვეყნის ტერიტორია". თუმცა, ეს დოკუმენტი ვერ ჩაითვლება საზღვრის გადაკვეთის შეზღუდვის სამართლებრივ საფუძვლად."

ნათქვამია საია-ს განცხადებაში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის არცერთი მუხლი არ აძლევს გამომძიებელს/პროკურორს უფლებას, მხოლოდ საკუთარი გადაწყვეტილებით, სასამართლოს შესაბამისი აქტის გარეშე, შეუზღუდოს პირს გადაადგილების უფლება. გარდა ამისა, ზემოაღნიშნული ოქმი მიღებულია მანამ, სანამ ე.წ. „სითი პარკის" საქმეზე სასამართლო იმსჯელებდა პროკურატურის შუამდგომლობაზე უგულავასთვის პირადობის მოწმობისა და პასპორტის ჩამორთმევასთან დაკავშირებით. რადგან სასამართლომ პროკურატურის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა, ცხადია, გამომძიებლის მიერ მანამდე შედგენილ „ბრალდებულის გაფრთხილების ოქმს" ვეღარ ექნებოდა შემაკავებელი ძალა, თუნდაც, რომ მიღების მომენტში მას შესაბამისი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი ჰქონოდა. ასევე, ორგანიზაციის თქმით, აღსანიშნავია, რომ გაფრთხილების ოქმში არ არის მითითებული რომელიმე კანონის რომელიმე ნორმა, რის საფუძველზეც იგი გაიცა. ასევე, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" მოუწოდებს სამართალდამცავ ორგანოებს, ნებისმიერი საგამოძიებო მოქმედების განხროციელების დროს, განუხრელად დაიცვან საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოთხოვნები და სათანადო დამჯერებლობით დააასაბუთონ თავიანთი მოქმედებები.

„არ გამოვრიცხავ, რომ უგულავას დაკავება მისთვის პოლიტიკური პიარის ნაწილი იყო. სწორედ ამ დაკავების ფორმა, ფონი და ყველაფერ ამის ონლაინ რეჟიმში გაშუქება მაფიქრებინებს, რომ მომხდარი პოლიტიკური კონიუქტიურით იყო განპირობებული არა მხოლოდ „ნაციონალების", არამედ „ქართული ოცნების" მხრიდან. ეტყობა, აქ მათი ინტერესები დაემთხვა. უბრალოდ, „ქართულ ოცნებას" არ ჰყოფნის გამოცდილება და კვალიფიკაცია გააცნობიეროს, რომ ამ ფორმით უგულავას დაკავება აზიანებს" — აცხადებს „ინტერპრესნიუსთან" საუბარში „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტის" ხელმძღვანელი, სამართლის ექსპერტი ლია მუხაშავრია.

ექსპერტის თქმით, ჩვენი საპროცესო კანონმდებლობა არავის უკრძალავს ქვეყნიდან გასვლას. ჩვენთან არც გაუსვლელობის ხელწერილი არსებობს და არც გადაადგილების შეზღუდვა. ამიტომაც, ლია მუხაშავრია მიიჩნევს, რომ უგულავას დაკავება მით უფრო უცნაურია. მით უმეტეს, რომ წინა დღეს სასამართლომ უარი თქვა რაიმე აღმკვეთი ღონისძიების გამოყენებაზე.

„გაუგებარია უკანსკნელ 24 საათში რა მოიპოვეს ისეთი, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება შეიცვლება, ეს ძალიან სადავო და საეჭვო საკითხია. ისეთი პირი უჩანს, რომ უგულავას დაკავება წინასაარჩევნო კომპანიის კონიუქტურით ნაკარნახევი ქმედებაა" — მიიჩნევს ქალბატონი ლია მუხაშავრია.

ციტნე პაატაშვილი

მთავარი რედაქტორი: ნატო გუბელაძე

დიზაინი: ირმა ბახუტაშვილი

ოპერატორი და კორექტორი: ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

B — ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე

გამომცემელი — შპს „P.S." („პოსტსკრიპტუმი").
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია №5/ბ-1401

გაზეთ „P.S."-ის კლასიფიკაციის კოდი:
UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)
პ - 658
P - 86

მისამართი: ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37ª. პრესის სახლი.

- (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
- psnews27@gmail.com
- www.psnews.ge

ქუთაისის მერობის კანდიდატს ხათუნა მაჭავარიანს „გადაგდებაში" ადანაშაულებენ

აღგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ორი კვირის წინ დასრულდა და საარჩევნო ციებ-ცხელებაც განელდა, თუმცა საარჩევნო ბლოკ „თვითმმართველობა ხალხს" ქუთაისის შტაბს და მერობის კანდიდატს ხათუნა მაჭავარიანს კოორდინატორები არჩევნებიდან ორი კვირის შემდეგ უპირისპირდებიან და აცხადებენ, რომ საარჩევნოდ ბლოკის სახელით მუშაობდნენ და ხათუნა მაჭავარიანმა მათ კუთვნილი თანხა არ გადაუხადა, რის მიზეზადაც უბნებზე მიღებულ არასაკმარის ხმებს ასახელებს.

„ჩვენ შემთხვევით არ მივსულვართ ამ ბლოკში სამუშაოდ, ახლობლები ვართ, გვინდოდა, მასაც დავხმარებოდით და მიზერული თანხაც შეგვეტანა ოჯახში. ჩვეულებრივად ვიმუშავეთ, არჩევნების დღესაც უბანზე ვიყავით, ახლა კი, როდესაც ფული მოვითხოვეთ, გამოგვიცხადეს, რომ სათანადოდ არ ვმუშაობდით. თან გვითხრეს, პარტიას ფული არ აქვს და საპარლამენტო არჩევნებზე დაგასაქმებთო. ჩვენ, ყველანი, თავის გასატანად ვმუშაობთ და ეს კარგად იცის ქალბატონმა ხათუნამ. დამოკიდებულებაა გულდასაწყვეტი, თავიდან ეთქვა, რომ ფული არ ჰქონდა და, იქნებ, უფასოდაც დავხმარებოდით, ახლა კი, თურმე დამნაშავეები ჩვენ ვართ. ჟარგონულად რომ ვთქვათ, მერობის კანდიდატმა ხათუნა მაჭავარიანმა „გადაგვაგდო" – აღნიშნავენ კოორდინატორები, რომლებმაც ვინაობის გამხელა არ ისურვეს.

psnews.ge სიტუაციაში გასარკვევად უშუალოდ საარჩევნო ბლოკ „თვითმმართველობა ხალხს"-ის მერობის კანდიდატს, ხათუნა მაჭავარიანს დაუკავშირდა. როგორც მაჭავარიანმა აღნიშნა, კუთვნილი თანხა მხოლოდ იმათ არ მიუღიათ, რომელთაც დაკისრებული მოვალეობა ვერ შეასრულეს. დეტალური ინფორმაციის მისაღებად კი პარტიის უფლებამოსილ პირს თამარ ჯუღელს დაგვაკავშირა.

„P.S.ფოტო" (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

ხათუნა მაჭავარიანი

„თუ იმუშავეს, რა შედეგი დამიდეს? რაში ითხოვენ ფულს? არჩევნების დღეს უბანზე არ იყვნენ, ზოგს ბეიჯი არ ჰქონდა, ზოგს მისვლა დაეზარა. არანაირი შედეგი არ მიმიღია, ისიც კი არ ვიცი, ჩემთვის მუშაობდნენ თუ სხვა პარტიისთვის. ამ ფულს მე კი არ ვიხდი, სახელმწიფო რიცხავს და ითხოვენ შესრულებული სამუშაო წარვუდგინოთ, მაგრამ თუ არ უმუშავიათ, იმათი ფული უკან ბრუნდება, მივიდნენ და სახელმწიფოს ედავონ. რომ მითხრათ, ვინ არიან ესენი და რომელ უბანზე მუშაობდნენ, ზუსტად გეტყვით, რა პრობლემაა, ჰკითხეთ ამ ადამიანებს, ბეიჯი თუ ეკეთათ, თუ იყვნენ უბანზე, ან თუ იციან, რამდენი ხმა წამოვიღეთ. ჩვენ თითქმის ყველას დავურიგეთ თანხა, მხოლოდ ორი-სამი უბანია დარჩენილი, სადაც მომუშავე ადამიანები უნამუსოდ ითხოვენ ფულს. ჩემი ინტერესი არაა, ვინმეს თანხა არ მივცეთ, ეს კონსტიტუციის შესაბამისად ხდება, თორემ ჩემთვის უკეთესია, სამომავლოდ რაც მეტი ადამიანი მეყოლება," – განაცხადა თამარ ჯუღელმა.

კოორდინატორები, რომელთაც საარჩევნო ბლოკს თანხის არგადახდაში დასდეს ბრალი, აცხადებენ, რომ როგორც წინასაარჩევნო პერიოდში, ასევე არჩევნების დღესაც მუშაობდნენ, ბეიჯიც ეკეთათ და უბანზე მიღებული შედეგებიც კარგად იციან, თუმცა, მიუხედავად შესრულებული სამუშაოებისა, პარტია თანხის გადახდაზე უარს ეუბნება.

ნესტან ჩაგელიშვილი
psnews.ge

საქართველო-რუსეთი. საქმე №1. განაჩენი საქართველოს სასარგებლოდ

პირველი გვერდიდან

2007 წლის 26 მარტს საქართველოს მთავრობამ სტრასბურგის სასამართლოში რუსეთის წინააღმდეგ სახელმწიფოთაშორისი საჩივარი შეიტანა. საჩივარი უკავშირდება რუსეთის მიერ 2006 წლის შემოდგომაზე გატარებულ სადამსჯელო პოლიტიკას, რომელიც მიმართული იყო რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური ქართველების დევნასა და შევიწროებაზე და მიზნად ისახავდა ქვეყნიდან მათ მასობრივ გაძევებას.

რუსეთის მიერ განხორციელებული მასობრივი დევნა შეეხო ათასობით ადამიანს. საჩივარში საილუსტრაციოდ მოყვანილი იყო 130-მდე ქართველის ინდივიდუალური შემთხვევა. 2009 წლის 15 დეკემბერს იმ პალატამ, რომელიც საქმეს იხილავდა, საჩივრის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საქმე განსახილველად სასამართლოს დიდ პალატას გადასცა.

2011 წლის 31 იანვრიდან 2011 წლის 4 თებერვლამდე დიდი პალატის 17 მოსამართლის წინაშე გაიმართა მოწმეთა დაკითხვა. აღნიშნული პროცედურის ფარგლებში დაიკითხა მხარეთა მიერ წარდგენილი 10-10 მოწმე. 2012 წლის 13 ივნისს გაიმართა ბოლო საჯარო სხდომა და პროცედურა დაიხურა. ბოლო სხდომის შემდეგ გამართულ თათბირზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება.

იუსტიციის სამინისტროს საიტზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ რუსეთმა 2006 წელს დაარღვია ევროპული კონვენციის არაერთი მუხლი და საქართველოს სახელმწიფომ ეს დავა გამარჯვებით დაასრულა. ამასთან, გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ რუსეთის მხრიდან ადგილი ჰქონდა კოორდინირებულ პოლიტიკას ქართველების წინააღმდეგ დაკავებისას, დაპატიმრებისას და მასობრივად ქვეყნიდან გამოძევებისას. შესაბამისად, დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მეოთხე ოქმის მეოთხე მუხლი; დაკავებისა და დაპატიმრების დროს ქართველები დამამცირებელ და არაადამიანურ პირობებში იმყოფებოდნენ, რითაც დაირღვა მე-3 და მე-5 მუხლები.

როგორც იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა აღნიშნა, რაკი ამდენი დარღვევა დადგინდა, რუსეთს აქვს სამართლებრივი ვალდებულება, კომპენსაცია გადაუხადოს საქართველოს მისი მოქალაქეების უფლებების დარღვევისთვის, კომპენსაციის ოდენობაზე შესათანხმებლად საქართველოს და რუსეთის იუსტიციის სამინისტროებს 12-თვიანი ვადა მიეცათ.

„მე მინდა, ყველა იმ ქართველს, რომელიც გახდა დამამცირებელი მოპყობის მსხვერპლი, მივულოცო ეს გამარჯვება და ვუთხრა, რომ ევროპულმა სასამართლომ მათი უფლებები დაიცვა" — განაცხადა თეა წულუკიანმა.

სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებას გამოეხმაურა საქართველოს პრეზიდენტიც და ყველა ადამიანს, ვინც ამ საქმეში 7 წლის განმავლობაში იყო ჩართული, მადლობა გადაუხადა. პრეზიდენტის განცხადებით, ეს გადაწყვეტილება აჩვენებს, რომ ევროპულ სამართალს თავისი ძალა აქვს.

„მინდა კიდევ ერთხელ ვუთანაგრძნო იმ ადამიანებს, ვინც ამ ძალადობის მსხვერპლი იყო მაშინ და ეს გადაწყვეტილება მათაც მივულოცო. ბუნებრივია, ამ გამარჯვების კონკრეტული შედეგების მოპოვებას დამატებითი პროცედურები სჭირდება. ეს შესაბამის სარჩელებს და განხილვებს გულისხმობს. ბუნებრივია, ჩვენ ამ პროცესებს გავაგრძელებთ, რომლის შედეგად ის ადამიანები, ვინც რუსეთისგან იზარალა, ევროპულ სამართალს მიიღებენ," — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძის თქმით, ამ გადაწყვეტილების შესრულებისთვის 12 თვეა მოცემული და ამ პერიოდში საქართველოსა და რუსეთის იუსტიციის სამინისტროები უნდა შეთანხმდნენ კომპენსაციის ოდენობაზე.

„სულაც არ მგონია, რომ ეს მარტივი იქნება. ერთია საემიგრაციო პოლიტიკა და მეორე – ადამიანური მოპყრობა... იმაზეა ლაპარაკი, რომ ეს იყო საქართველოს მოქალაქეების პოლიტიკური დევნა და მათ მიმართ არაადამიანური, შეურაცხმყოფელი მოპყრობა. ყველას გვახსოვს, როდესაც ქართველები სატვირთო თვითმფრინავებით ჩამოიყვანეს. ყველა ქვეყანა პატივს სცემს ერთმანეთის საემიგრაციო პოლიტიკას, მაგრამ არაადამიანური, მიზანმიმართული მოპყრობა და ადამიანის უფლებების დარღვევა არის აბსოლუტურად სხვა საკითხი," — განაცხადა მინისტრმა ღია მმართველობის ფარგლებში ჟურნალისტებთან შეხვედრაზე. მისივე თქმით, თუ რუსეთი სასამართლოს მიერ დაკისრებულ ვალდებულებას არ შეასრულებს, სასამართლოს გააჩნია ბერკეტები იმისთვის, რომ შემდეგი ნაბიჯები განახორციელოს.

„ჩემი ღრმა რწმენით, სტრასბურგის სასამართლოს მიერ საქართველოს სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება ძალიან დიდი მოვლენაა. საქართველოს მთავრობამ, პირველად ისტორიაში რუსეთს საერთაშორისო სასამართლოში რაღაცაში მოუგო. ეს რაღაც არ არის ევროპული სასამართლოს მხრიდან რუსეთის მიერ ერთი მუხლის დარღვევის აღიარება. ეს არის ძალიან სერიოზული რამ, ვინაიდან საერთაშორისო სასამართლომ აღიარა და დაადგინა, რომ რუსეთის პოლიტიკა და პრაქტიკა ევროპულ სტანდარტებთან მიმართებაში შეუსაბამოა" — ამგვარად შეაფასა სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილება ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტის" ხელმძღვანელმა, ცნობილმა უფლებადამცველმა ლია მუხაშავრიამ „ინტერპრესნიუსთან" საუბრისას.

ციტნე პაატაშვილი

სოციალურად დაუცველთა მდგომარეობის შეფასება ახალი კრიტერიუმებით მოხდება

სოციალურად დაუცველი ოჯახების მდგომარეობა ახალი კრიტერიუმებით შეფასდება. როგორც ცნობილი გახდა, მიმდინარეობს ახალი მეთოდოლოგის შემუშავება, რომლის მიხედვით განისაზღვრება სოციალურად დაუცველი ოჯახების შეფასების საგრანტო მაჩვენებელი.

ჯანდაცვის სამინისტროში წარდგენილი პროექტის თანახმად, მინიმუმამდე იქნება დაყვანილი აგენტების შეფასება, ანკეტა შეივსება ოჯახის წევრებისა და სახელმწიფო სამსახურიდან შესული ინფორმაციის საფუძველზე და თავიდან გადამოწმდება ინფორმაცია სოციალური სტატუსის მქონე მოქალაქეების შესახებაც. როგორც სამინისტროში ამბობენ, ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდომარეობის შეფასებისას, არ იქნება გათვალისწინებული დღეს მოქმედი აგენტის სუბიექტური შეფასება, მაგალითად, ოჯახის წევრთა ჩაცმულობა, ჰიგიენის საშუალებები და ა.შ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის დავით სერგეენკოს განცხადებით, თავიდან გადაიხედება ქულები, თუმცა ეს პროცესი ეტაპობრივად განხორციელდება.

„სოციალურად დაუცველთათვის ქულების მინიჭების სისტემას ჰქონდა ორი ჯგუფის პრობლემა, ერთი ის, რომ ძალიან დიდი არეალი იყო დაკავებული სუბუექტური მომენტისთვის, ანუ სოციალურ აგენტს საკმაოდ დიდი ველი რჩებოდა სუბიექტური გადაწყვეტილებისთვის გარკვეული ინფორმაციის აკრეფისას, და მეორე, საკუთრივ მეთოდოლოგიას ჰქონდა ასევე ხარვეზები, რომელიც პერმანენტულად სწორდებოდა. თუმცა, ვფიქრობ, UNICEF-ის დახმარებით მოვახერხებთ ამის სისტემურ გადაწყვეტას. მე ვფიქრობ, შევძლებთ მივაღწიოთ მნიშვნელოვან პროგრესს, რომ ქულების მინიჭების სისტემა მაქსიმალურად გამჭვირვალე და სამართლიანი გახდეს," — აცხადებს ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო.

სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელმა გაიოზ თალაკვაძემ, ჟურნალისტებსა და სააგენტოს თანამშრომლებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და ახალი კრიტერიუმების შემუშავების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.

მისი განცხადებით, ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებასთან ერთად იცვლება სიღარიბის ინდიკატორებიც. ძირითადი აქცენტი ოჯახის შემოსავლებზე და მის მიერ უძრავი ქონების ფლობაზე გაკეთდება და არა იმაზე, თუ რამდენს ხარჯავს ოჯახი საჭიროებიდან გამომდინარე.

2013 წლის სექტემბერში UNICEF-თან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში მიმდინარეობს სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მეთოდოლოგიის გადახედვისა და ახალი კრიტერიუმების შემუშავების პროცესი, რომელიც უწყებების წარმომაგენელთა განმარტებით, უახლოეს მომავალში დაინერგება.

გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლობა საქართველოში აცხადებს, რომ არსებული სოციალური პროგრამა ვერ ითვალისწინებს ბავშვთა პრობლემებს და საჭიროებებს. მათ მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით, საქართველოში ბავშვთა სიღარიბე 25-27%-ით იზრდება, მაშინ, როცა სხვა ჯგუფებში მოსახლეობის სიღარიბის მაჩვენებელი იკლებს.

UNISEF-ის რეკომენდაციით, საქართველოში უნდა შეიცვალოს არა მხოლოდ ქულების დათვლის მეთოდოლოგია, არამედ უნდა დაწესდეს ფულადი დახმარება ღარიბ ბავშვებზე.

ჟანა ჯანელიძე

მომხმარებელთა დახმარების ცენტრები

დარეკეთ ცხელ ხაზზე!

გაიგე რას ჭამ!
მომხმარებლის უფლებების დაცვის საზოგადოებრივი მოძრაობა

დაგაეჭვათ სურსათმა, რომელსაც მოიხმართ?

- არასათანადო პირობებში იყიდება, ინახება ან გადაიზიდება;
- ვადაგასულია, ან მოხმარების ვადა გაუგებარია;
- გაფუჭებულია, დაბინძურებულია, ან სხვა მიზეზის გამო გამოუსადეგარია საკვებად;
- ეტიკეტი გაუგებარია, ან არა ხართ დარწმუნებული, რომ ის პროდუქტის შიგთავსს შეესაბამება

მოგვმართეთ მომხმარებელთა დახმარების ცენტრებში!

ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ იმისათვის, რომ თქვენს მიერ აღმოჩენილი დარღვევა რაც შეიძლება სწრაფად აღმოიფხვრას.

ჩვენ დავათვალიერებთ თქვენს მიერ მითითებულ სასურსათო ობიექტს, შევიძენთ თქვენს მიერ დასახელებულ სურსათს, შევამოწმებთ მის ეტიკეტს და, შესაძლებლობის ფარგლებში, სურსათის ლაბორატორიულ შემოწმებასაც მოვახდენთ. გამოვლენილი დარღვევების შესახებ ინფორმაციას გავუგზავნით სურსათის ეროვნულ სააგენტოს, ან სხვა შესაბამის სახელმწიფო უწყებას, თავად მეწარმეებს, მედია-საშუალებებს, გამოვაქვეყნებთ ვებ-გვერდებზე და გავავრცელებთ სოციალური ქსელების მეშვეობით.

CSRDG — საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

თბილისი — ტელ.: 219 42 42, momxmarebeli.ge, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი;

MEA

ახალციხე — ტელ.: 551 555 267, ელ-ფოსტა: mmakhaltsikhe@gmail.com, სამედიცინო ეკოლოგიის ასოციაცია;

საზოგადოება "ბილიკი" Society Biliki

გორი — ტელ.: 599 534 070, 598 544 053, ელ-ფოსტა: mmcshidakartli@gmail.com, საზოგადოება „ბილიკი";

Friends of the Earth Georgia

ქუთაისი — ტელ.: 570 105 573, ელ-ფოსტა: momxmarebeli.kutaisi@greens.ge, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო.

მომხმარებელთა დახმარების ცენტრები მუშაობს პროექტის ფარგლებში, რომლის სახელწოდებაა „ევროკავშირთან დაახლოების გამჭვირვალე პროცესი: სანიტარული და ფიტოსანიტარული პოლიტიკა საქართველოსა და მოლდოვაში".

პროექტს ახორციელებს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი ევროკავშირისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მხარდაჭერით.

საკონტაქტო პირი: ლელა ბერძული, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის პროგრამის თანაშემწე. ელ-ფოსტა: lberdzuli@epfound.ge ტელ.: 225-39-42/43, მისამართი: თბილისი, კავსაძის ქ. №3.

დამატებითი ინფორმაციისათვის პროექტის შესახებ შეგიძლიათ, ეწვიოთ ვებ-გვერდს: www.mkidveli.ge

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი

SWEDEN

რამდენად ენდობიან ქუთაისელები სასამართლოს?

ამ კვლევით, სასამართლოს მომხმარებელთა კმაყოფილება შეამოწმეს

პირველად დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში სასამართლო სისტემის რეფორმის ჩატარება 1997-1998 წლებში სცადეს, როდესაც მიიღეს „საერთო სასამართლოების შესახებ" და „უზენაესი სასამართლოს შესახებ" ორგანული კანონები. თუმცა, უკვე ერთი წლის შემდეგაც ცხადი იყო, რომ არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების გამო, სასამართლო რეფორმა საქართველოში ვერ შედგებოდა, რადგან არ არსებობდა რეფორმისთვის ყველაზე აუცილებელი ფაქტორი — ხელისუფლების ნება.

სწორედ პოლიტიკური ნების არარსებობის გამო, მაშინდელმა ხელისუფლებამ არ განახორციელა პროკურატურის, პოლიციის და ადვოკატთა კორპუსის რეფორმა, რომელიც პირდაპირ იყო კავშირში სასამართლოსთან. ამან კი სასამართლო რეფორმის არა თუ შეფერხება, არამედ, საერთოდ ჩავარდნა გამოიწვია. განსაკუთრებით მწვავე პრობლემა იყო არაკეთილსინდისიერი და არაკვალიფიციური მოსამართლის საქმიანობა, სისტემაში მასშტაბური კორუფცია და სასამართლოს დამოუკიდებლობის დაბალი ხარისხი. ამ პრობლემების გამო საზოგადოებაში სასამართლოს კორუმპირებულობის შესახებ სტერეოტიპი მყარად იყო დამკვიდრებული, რაც ამ ინსტიტუტის მიმართ უნდობლობის მაღალ ხარისხსაც განაპირობებდა.

„ვარდების რევოლუციით" ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ეს პოლიტიკური ნება გაჩნდა. 2005 წლიდან დაიწყო მასშტაბური კვლევები. ამ კვლევების მიზანი იყო, განესაზღვრა სასამართლო სისტემისადმი მოსახლეობის დამოკიდებულება და ამ დამოკიდებულებიდან გამომდინარე, დაესახა პრიორიტეტები. სხვადასხვა დროს მსგავსი კვლევები ჩატარდა USAID-ის, IPM-ის და IRI-ის დაკვეთით. თუმცა, ამ კვლევებს ნაკლი ჰქონდათ — მართალია, გარკვეული სურათი იქმნებოდა, თუმცა მკაფიო დინამიკაზე საუბარი ძნელი იყო. კვლევების თანახმად, მოსახლეობის დაახლოებით 80%-ს უშუალო შეხება არ ჰქონდა სასამართლო სისტემასთან და მათი დამოკიდებულება მესამე ხელისუფლების მიმართ მედიიდან მიღებული ინფორმაციით ან ნაცნობ-ახლობლების მონათხრობით ყალიბდებოდა. შესაბამისად, გამოკითხვების შედეგებში საკმაოდ მაღალი იყო ცდომილების ალბათობაც.

სასამართლოს მომსახურების ხარისხის თაობაზე კვლევა ბოლოს ჩატარდა 2014 წლის თებერვალში. ამ კვლევით სასამართლოს მომხმარებელთა კმაყოფილება შეამოწმეს. რაც მთავარია, იმისათვის, რომ კვლევით მიღებული სურათი რეალობასთან ახლოს ყოფილიყო, კვლევაში მონაწილეობდნენ მხოლოდ ისეთი რესპოდენტები, რომლებიც სასამართლო მომსახურების უშუალო მომხმარებლები იყვნენ და მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ) რეკომენდაციების მიხედვით, მათი დაყოფა მოხდა ჯგუფებად: გამოიკითხა 338 მოსარჩელე, 197 მოპასუხე, 65 ბრალდებული და 103 მოწმე. კვლევის თანახმად, შერჩევის ცდომილება არის 3%.

ვინ შეაფასა სასამართლოს მომსახურების ხარისხი?!

კვლევა ჩატარდა 2014 წლის 27 იანვრიდან 7 თებერვლამდე და კვლევის არეალმა მოიცვა სამი ქალაქი — თბილისი (გამოიკითხა 668 მომხმარებელი); ქუთაისი (გამოიკითხა 326) და ბათუმი (გამოიკითხა 336). რაც შეეხება კვლევის ინსტრუმენტს, მოქალაქეთა გამოკითხვა მოხდა კითხვარის მეშვეობით, რომელიც შემუშავდა მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ) რეკომენდაციების გათვალისწინებით. სულ გამოიკითხა 1330 რესპონდენტი. მათ შორის მამაკაცი იყო 53.1%, ხოლო ქალი — 46.9%. ასაკობრივი ჯგუფების თვალსაზრისით, რესპოდენტთა უმრავლესობა განეკუთვნებოდა 36-დან 55 წლამდე ასაკს (38.3% იყო 46-დან 55 წლამდე, ხოლო 30.3% — 36-დან 45 წლამდე). ყველაზე მცირე ჯგუფი (4.4%) განეკუთვნებოდა 65 წელს ზემოთ ასაკობრივ კატეგორიას.

ასევე, რესპონდენტები იყვნენ რომელიმე მხარის ოჯახის წევრი/ნათესავი/ახლობელი. ასევე, გამოიკითხნენ ისეთებიც, რომლებიც არ იყვნენ სასამართლო მომსახურების უშუალო მომხმარებლები, მაგრამ შეხება ჰქონდათ სასამართლო პროცესთან სხვადასხვა სახით და პრაქტიკულად, ნეიტრალური მონიტორები იყვნენ. მაგალითად, ექსპერტი/თარჯიმანი (22) და სხვა პირები (სხდომაზე დასასწრებად, სტაჟიორი, დამსწრე, ჟურნალისტი და ა.შ.) – 80 რესპონდენტი. კვლევის ფარგლებში გამოიკითხა საჯარო ინფორმაციის ან დოკუმენტის მაძიებელი 139 რესპონდენტი.

კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიკითხა სასამართლოს მომხმარებელთა ყველა კატეგორია: სამოქალაქო საქმეზე — 621 რესპოდენტი, რაც არის გამოკითხულთა 46.7%. სისხლის სამართლის საქმეზე — 437 რესპონდენტი (32.9%), ადმინისტრაციულზე — 193 (14.5%) და სხვა ტიპის საქმეებზე — 79 (5.9%).

დროულად გაგიწიეს თუ არა მომსახურება/რამდენ ხანს მოგიწიათ ლოდინი, ვიდრე ყურადღებას მოგაქცევდნენ?



მიიღეთ თუ არა თქვენთვის საჭირო ინფორმაცია?



მთლიანად რამდენად კმაყოფილი ბრძანდებით სასამართლოს მომსახურების ხარისხით?



სასამართლოს მომსახერუბის ხარისხით, გამოკითხულთა ნახევარზე მეტი 65,7 % ძალიან კმაყოფილი, ან კმაყოფილია

რამდენად ენდობით სასამართლო სისტემას?



რესპონდენტთა უმრავლესობა სასამართლოს ენდობა

თქვენი აზრით, იღებენ თუ არა ქრთამს მოსამართლეები საქართველოში?



სასამართლოში მოსვლის შემდეგ თქვენი შთაბეჭდილება სასამართლოს ფუნქციონირებაზე



მომხმარებლის პირველი შთაბეჭდილება სასამართლოზე

როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კოტე კუბლაშვილმა რამდენიმე დღის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, მომხმარებელს სასამართლოს შესახებ პირველი შთაბეჭდილება მიმართვისთანავე უყალიბდება, ანუ სასამართლო მომსახურება კანცელარიით იწყება. როგორც რესპონდენტთა უმრავლესობამ — 76.4%-მა განაცხადა, რომ მათ დროულად გაუწიეს მომსახურება. რესპონდენტთა 15.5%-ს 10-20 წუთამდე ლოდინი მოუწიათ, ვიდრე ყურადღებას მიაქცევდნენ, ხოლო 2.3%-ს — 30 წუთიდან 1 საათამდე. ერთ საათზე მეტი ლოდინი მოუხდა მხოლოდ რესპოდენტთა 4.8%-ს.

რაც შეეხება გაწეული მომსახურების ხარისხს, კითხვაზე „მიიღეთ თუ არა თქვენთვის საჭირო ინფორმაცია?" — რესპოდენტთა 75.4%-მა უპასუხა დადებითად. საჭირო ინფორმაცია ვერ მიიღო 9.3%-მა, ხოლო ნაწილობრივ მიიღო — 14.3%-მა.

გაგრძელება **მე-6 გვერდზე**

ამერიკელი მუსიკოსის ქართული შემოქმედება და სიყვარული, რომელსაც საზღვრები არ აქვს

რეისი — ნიუ-იორკი-თბილისი, ვიზიტის ხანგრძლივობა — სამი კვირა, ამ მანძილით და ამ დროით ამერიკელი მუსიკოსი კარლ ლინი პატარა საქართველოში დიდმა სიყვარულმა ჩამოიყვანა.

კარლ ლინი

ის, რამაც კარლს შორეული ოკეანის ნაპირი გადმოალახვინა არის არა ვინ, არამედ — რა და ამ რას ქართული ხალხური სიმღერა ჰქვია.

ქართული ფოლკლორის სიყვარულის სენი ჯერ კიდევ 24 წლის წინ შეეყარა, მაშინ, როდესაც ამერიკულ ანსამბლთან ერთად საქართველოში პირველად ჩამოსულმა ქართული სიმღერა პირველად მოისმინა. ამ შემთხვევას დღეს კარლი ასე იხსენებს: „ბევრი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოში პირველად ჩამოსულმა ქართული სიმღერა მოვისმინე, მაგრამ ის დღემდე თითქოს ყურში ჩამესმის, მოვისმინე თუ არა, მივხვდი, რომ ქართული სიმღერა ჩემი გულის ნაწილი იყო, რომელთან ერთადაც უნდა მეცხოვრა.“

ის, რაც გულმა უკარნახა, გაიხადა კიდევაც ცხოვრების წესად, ხალხური სიმღერით მოხიბლულმა ქართველ მეგობართან ორი პირობა დადო, ისწავლიდა ქართულ სიმღერებს და ქართულ ენას ისე გამართულად, რომ ამ საოცარი ქვეყნის სადღეგრძელო ქართულად ეთქვა.

სულ რაღაც ერთ წელში კარლმა ორივე პირობა სისრულეში მოიყვანა, ქართული სიმღერის სიყვარულმა ქართული ენა და სადღეგრძელოებიც უნაკლოდ შეისწავლა და უკვე 24 წელია, ყოველ წელს საქართველოში ყველა კუთხეს მხოლოდ ერთი მიზეზით სტუმრობს — აღმოაჩინოს, მოისმინოს, ისწავლოს და გააცოცხლოს ხალხური სიმღერები და ქართველებისგან ნასწავლი შემდეგ ამერიკელებს ასწავლოს.

ამერიკელი მუსიკოსის სიყვარულმა ქართული ხელოვნების მიმართ, წლებთან ერთად, შეიძლება ითქვას, სული და ხორცი შეისხა და აბსტრაქტული სიყვარულიდან რეალურ გრძნობამდე მივიდა.

ქართული სიმღერით მოხიბლულ კარლს არც ქართველი ქალის მშვენიერება დარჩა შეუმჩნეველი და მათგან ერთ-ერთი გულის სწორად და ცხოვრების თანამგზავრად აირჩია. დღეს კარლს ქართველი მეუღლე და 2 შვილი ჰყავს, რომელსაც, როგორც მისი მეგობრები ამბობენ, ქართულად ზრდის.

ქართულ სიმღერაზე უანგაროდ შეყვარებული კარლი, ქართულ ფოლკლორში შეტანილი წვლილის გამო, ღირსების ორდერით არის დაჯილდოებული, თუმცა, როგორც თავად ამბობს, მისთვის ყველაზე დიდი ჯილდო ხალხის სიყვარული და გამოხატული სითბოა.

ამჟამად კარლის რეპერტუარში 100-მდე ქართული სიმღერაა, ზოგი მათგანი სრულიად ახალი არანჟირებით გააცოცხლა, ყოველ ზაფხულს ახალი გუნდით ჩამოდის საქართველოში და კარდაკარ, სხვადასხვა კუთხეების მოვლით, უცხოელ ტურისტებს აცნობს და აყვარებს ქართულ სიმღერას.

გუნდი, რომელთან ერთადაც ამჯერად კარლი საქართველოში ჩამოვიდა, 9-კაციანი შემადგენლობით კალიფორნიის, კანადის და ნიუ-იორკის შტატებიდან არიან, ყველა მათგანს განსხვავებული პროფესია აქვს, ერთმანეთი საქართველოში გაიცნეს და, როგორც თავად ამბობენ, ქართულმა სიმღერამ დაამეგობრა კიდეც.

სამკვირიანი ვიზიტის ფარგლებში ოზურგეთი, გურია და სვანეთი მოიარეს და პროფესიონალი ლოტბარებისგან მცირე დროში თითქმის პროფესიონალურ დონეზე დაეუფლნენ სვანურ ფერხულსა, თუ ყველა სხვა მხარეში შესწავლილ სიმღერებს.

მთიანი რეგიონების შემდეგ ჯერი სავარდო და სამაისო ქუთაისზე მიდგა, ქართული სიმღერით, ტრადიციებით და სტუმართმოყვარეობით მოხიბლულმა ქართული სიმღერა ჯერ ტელერადიო-კომპანია „რიონში“ სტუმრად მოწვეულებმა რადიოს ეთერიდან ააჟღერეს, შემდეგ კი ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის დარბაზიდან.

შეხვედრის ბოლოს კი ემოციურად განწყობილ მასპინძელს „მასპინძელო, მხიარულოთი“ დაემშვიდობნენ და სიმღერითვე დაილოცენ გზა შორეულ ამერიკაში; იქ, სადაც მათი დამსახურებით სვანურ ფერხულსა თუ გურულ კრიმანჭულს ენამოტეხვით, მაგრამ მთელი მონდომებით არაერთი უცხოელი გაიმეორებს და შეიყვარებს.

ეკა შალამბერიძე

თორნიკე მარჯანიშვილი:

„ოპერის თეატრი დღეს ქუთაისისთვის ძალიან საჭიროა“

ქუთაისის ბალანჩივაძეების სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის ახლადდანიშნული მმართველი თორნიკე მარჯანიშვილი ჟურნალისტებს შეხვდა და თეატრში არსებულ პრობლემებსა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.

მისი თქმით, ოპერის თეატრში რადიკალურ საკადრო ცვლილებებს არ გეგმავს და, ძირითადად, ტექნიკური კუთხით აპირებს მუშაობას.

„ჩემთვის მოულოდნელი იყო ამ თანამდებობაზე დანიშვნა. თუმცა, მიმუშავია ამ მიმართულებით და საკმარისი გამოცდილებაც მაქვს. ჩემი ძირითადი მუშაობა პროექტების დამუშავებას და ფინანსების მოძიებას შეეხება, მაგრამ არ ვიქნები ორიენტირებული მხოლოდ ფინანსების მოზიდვის კუთხით, ვინაიდან თეატრს შემოქმედება სჭირდება და ფინანსები გაკეთებული საქმის შემდეგ უნდა წამოვიდეს, რათა ერთობლივი შედეგი დავდოთ. მთავარი ყურადღება მექნება ფუნქციების გადანაწილებაზე, პასუხისმგებლობები უნდა მოემატოს ზოგიერთ სამსახურს. პირველ რიგში, თეატრში ტექნიკური საკითხების მოგვარებას ვიწყებ. დაწყებული მაქვს მუშაობა სქემაზე, სადაც თითოეული თანამშრომლის უფლება-მოვალეობები გაიწერება. ოპერის თეატრი დღეს ქუთაისისათვის ძალიან საჭიროა,“ — განაცხადა თორნიკე მარჯანიშვილმა.

მარჯანიშვილის თქმით, ოპერის თეატრის შენობასაც სჭირდება მიხედვა.

„მიუხედავად იმისა, რომ აქ გაკეთდა რემონტი, პრობლემები მაინც არსებობს. პრობლემაა უხარისხო განათება, ოპერის თეატრს მსგავსი განათება არ უნდა ჰქონდეს. პირველი ნაბიჯები შენობის პრობლემების მოგვარების კუთხითაც უნდა გადავდგათ.“— ამბობს მარჯანიშვილი.

შეგახსენებთ, რომ გასულ კვირას კულტურის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ თეატრის დირექტორის პოზიციაზე რეჟისორი თორნიკე მარჯანიშვილი დაამტკიცა. თორნიკე მარჯანიშვილი ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში მოქმედი რეჟისორია.

ჟანა ჯანელიძე
psnews.ge

იხსნება თუ არა ქუთაისში კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე შენობაში კომერციული ფართი?

ქუთაისის ცენტრში, წერეთლის №2-ში მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „სმარტი“ ფართოვდება. კომპანიამ შენობის ღია აივანი დამცავი ბადით შემოღობა და, როგორც ადგილობრივები აცხადებენ, მის ამოშენებას აპირებენ.

„PS.ფოტო“ (ჟანა ჯანელიძე) ©

აღნიშნული ფაქტი 1 ივლისს პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ქუთაისის ოგანიზაციამ გააპროტესტა.

„ეს არის მარაზმი და ყველანაირი კანონის და ნორმის დარღვევა, ეს ისტორიული ძეგლია და მის იერსახესთან დაკავშირებული ყველანაირი ცვლილება კულტურის სამინისტროსთან უნდა შეთანხმდეს. კეთილი ინებონ და გამოიძიონ, როგორ მოხვდა კერძო საკუთრებაში ფართი, რომელიც არ უნდა გაყიდულიყო. მალე ქალაქში აღარაფერი დარჩება გასაყიდი.

არანორმალურია, რომ ყველაფერი ბიზნესად ვაქციოთ,“ — აცხადებს გოგი წულაია.

წულაია მოუწოდებს ახალ საკრებულოს, დაინტერესდეს ამ საკითხით. მისი თქმით, დეპუტატები ჯერაც ნირვანაში არიან და სჯობს გამოფხიზლდნენ.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა ქალაქის დაგეგმარების და ურბანული განვითარების უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ანდრო მარჯანიშვილმა. მისი თქმით, შენობა საკმაო ისტორიის მქონეა და ქალაქის რეალობაში დიდი მნიშვნელობა აქვს, თუმცა ის არ არის კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ძეგლთა ნუსხაში.

„ეს შენობა გასულ საუკუნეში სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენდა, თუმცა განმეორებით გასხვისდა და დღეს კერძო საკუთრებაშია. ამ შენობის სახეცვლილება შემინდაში გამოიხატება, რაც მისი პატრონის სურვილის შესაბამისად ხდება და ასევე ამ შენობის იერსახე მოედანზე არსებული TBS ბანკის შენობის გამოძახილი იქნება,“ – აცხადებს ანდრო მარჯანიშვილი.

მოსახლეობა აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებულ გარევაჭრობას და სადისპეტჩეროსაც აპროტესტებს. მათი თქმით, ასეთი სიმახინჯის დაკანონება ქალაქში დაუშვებელია, მერიაში კი პასუხობენ, რომ არსებობს გარევაჭრობის დარეგულირების კანონი, რასაც მალე იგრძნობს ქუთაისის მოსახლეობა.

ჟანა ჯანელიძე
psnews.ge

---

95 ათასი ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან „საზაფხულო დასვენების“ პროგრამისთვის

ქუთაისის მერიამ, სოციალური პროგრამების ფარგლებში, საზაფხულო დასვენების პროგრამა დაიწყო.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, სოციალურად დაუცველი პირები და მრავალშვილიანი დედები 10 დღით ურეკში დაისვენებენ.

პროექტი 335 ადამიანზეა გათვლილი და 4 ეტაპად განხორციელდება.

პირველი ეტაპი 1 ივლისს დაიწყო: 85 ადამიანი მერიის მიერ უზრუნველყოფილი ტრანსპორტით ურეკში გაემგზავრა.

მათი საზაფხულო დასვენების ხარჯებს მთლიანად ქალაქის მერია უზრუნველყოფს, რისთვისაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 95 ათასი ლარია გამოყოფილი.

„პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით იმ მონაწილე პირებისათვის, რომლებთაც ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პრობლემები აქვთ და ურეკის მაგნიტური ქვიშები მათ ჯანმრთელობის გაუმჯობესებას დადებითად წაადგება. გვაქვს გეგმაში, რომ პროექტი მომავალ წლებშიც გავაგრძელოთ,“ – განაცხადა ქუთაისის მერიის სოციალურ საკითხთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახურის უფროსმა ზურაბ მარგველაშვილმა.

ეკა შალამბერიძე
psnews.ge

რამდენად ენდობიან ქუთაისელები სასამართლოს?

ამ კვლევით, სასამართლოს მომხმარებელთა კმაყოფილება შეამოწმეს

მე-4 გვერდიდან

სასასამართლოს შესახებ საზოგადოებაში დამკვიდრებული ერთ-ერთი შეხედულება ისაა, რომ სასამართლოში საქმის გადაწყვეტა დროულად არ ხდება და ბევრ დროს მოითხოვს. გამოკითხულთა 53.5%-მა უპასუხა, რომ მათი საქმის გადაწყვეტა დროულად მოხდა, ხოლო 15.8%-მა ამ კითხვას უარყოფითად უპასუხა.

სასამართლოში საქმე მოიგო რესპონდენტთა 18.3%-მა, ხოლო წააგო — 8.9%-მა. გამოკითხულთა 65.3%-მა უპასუხა, რომ საქმე ჯერ არ დასრულებულა. 69.2%-მა განაცხადა, რომ სასამართლოში მათ დაწვრილებით განუმარტეს მოგების/წაგების მიზეზები და წერილობით დაუსაბუთეს. 23.8%-მა თქვა, რომ მათ ნაწილობრივ განუმარტეს მიზეზი, ხოლო რესპონდენტთა 7.1%-ს სასამართლოში წაგების/მოგების მიზეზები არ განუმარტეს.

რაც შეეხება გამოკითხულთა შთაბეჭდილებას სასამართლოს ფუნქციონირებაზე, სასამართლოში მისვლის შემდეგ 43.8%-ის შთაბეჭდილება შეიცვალა დადებითისკენ, ხოლო 5.0%-ის — უარყოფითისკენ. რესპონდენტთა 35.9%-მა განაცხადა, რომ მათ არ შეცვლიათ შთაბეჭდილება და აქვთ პოზიტიური შთაბეჭდილება, ხოლო 6.9%-ს ნეგატიური შთაბეჭდილება ჰქონდა და ეს შთაბეჭდილება სასამართლოში მისვლის შემდგომაც არ შეცვლიათ. რესპონდენტთა 8.4%-მა არ იცის რა შთაბეჭდილება აქვს სასამართლოზე. სასამართლოს მომსახურების ხარისხით, გამოკითხულთა 65,7% ძალიან კმაყოფილი ან კმაყოფილია (50,8% — კმაყოფილი, 14,9% — ძალიან კმაყოფილი). უკმაყოფილოა რესპონდენტთა 6,5%, ხოლო ძალიან უკმაყოფილო — 1,6%.

კვლევის თანახმად, გამოკითხულთა უმრავლესობა სასამართლოს ენდობა. 58.1% ენდობა, ხოლო 33.7% — მეტნაკლებად ენდობა. არ ენდობა 2.5%, ხოლო უფრო არ ენდობა — 3.2%. რესპონდენტთა 2.5%-მა არ იცის, ენდობა თუ არა სასამართლო სისტემას.

გამოკითხულთა უმრავლესობა — 81.0% მიიჩნევს, რომ სასამართლოში ქრთამის აღება აღარ ხდება, ხოლო 9.8% ფიქრობს, რომ ზოგიერთი, ალბათ, იღებს, მაგრამ უმრავლესობა ვერ ბედავს. რესპონდენტთა 2.8% ამბობს, რომ, ალბათ, მხოლოდ ერთეული მოსამართლეები იღებენ, ხოლო 6.2%-მა არ იცის. გამოკითხულთა მხოლოდ 0.3% აცხადებს, რომ სასამართლოში ქრთამს რასაკვირველია იღებენ.

ენდობიან თუ არა ქუთაისის სასამართლოს ქუთაისელები?

ზემოთაღნიშნული კვლევის გაცნობის შემდეგ, ჩვენც შევეცადეთ მცირე გამოკითხვა ჩაგვეტარებინა ქუთაისელებში და რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ რიგით ადამიანებს და ადვოკატებს. კერძოდ, დავინტერესდით, რამდენად ენდობიან ქუთაისის სასამართლოს, როგორი უნდათ, რომ იყოს სასამართლო და მათი აზრით, რამდენად გამჭვირვალეა ქუთაისის სასამართლო.

გამოკითხვის შედეგად აღმოჩნდა, რომ ქუთაისის სასამართლოს ქუთაისში ენდობიან. როგორც ჩვენს მიერ გამოკითხული ადვოკატები და მოქალაქეები აღნიშნავენ, ისინი ენდობიან სასამართლოს, თუმცა გარკვეული შენიშვნები მაინც აქვთ, სისტემაში არსებულ პრობლემებთან შეჯახება. რაც შეეხება სასამართლოს გამჭვირვალობას და ღიაობას, რესპონდენტებმა ამ კუთხით მდგომარეობა დადებითად შეაფასეს და განაცხადეს, რომ საჯარო ინფორმაციის გათხოვასთან დაკავშირებით პრობლემები არ ჰქონიათ.

კითხვაზე, ენდობით თუ არა სასამართლოს/ქუთაისის სასამართლოს და რამდენად გამჭვირვალეა სასამართლო: ხომ არ გაქვთ საჯარო ინფორმაციის მოწოდებასთან დაკავშირებით პრობლემები, რესპონდენტებმა ასეთი პასუხები გასცეს.

ილია ჯანელიძე (ადვოკატი):

ილია ჯანელიძე

„სასამართლოს ვენდობი. სასურველია თუ უფრო მაღალკვალიფიციური კადრებით იქნება წარმოდგენილი, კერძოდ, მოსამართლეებს ვგულისხმობ. ისინი დამოუკიდებლები უნდა იყვნენ და, რაც მთავარია, ძლიერები, ვინაიდან, არ არის გამორიცხული ზეწოლის ქვეშ მოექცნენ და ამ წინააღმდეგობის დაძლევა უნდა შეეძლოს ყველა მოსამართლეს. ვფიქრობ, ღია და გამჭვირვალეა ქუთაისის სასამართლო. მე პირადად, კმაყოფილი ვარ მასთან თანამშრომლობით. აქამდე არანაირი შენიშვნა არ მქონია და ინფორმაციის თავის დროზე მოწოდების კუთხითაც არასდროს არ შემქმნია პრობლემა."

ავთანდილ ქებულაძე (ადვოკატი):

ავთანდილ ქებულაძე

„ქუთაისის სასამართლოს ვენდობი. სამოქალაქო საკითხების განხილვისას სასამართლო აბსოლუტურად დამოუკიდებელია, რაც შეეხება სისხლის სამართალს, ამ კუთხით, წინა ხელისუფლებისდროინდელ სასამართლოსთან შედარებით დიდი განსხვავებაა, გაცილებით დიდი ნდობაც არის.

ღია და გამჭვირვალეს რაც შეეხება, გარკვეულწილად არის, თუმცა ადრე უფრო შეგვეძლო ადვოკატებს მოსამართლეებთან კონტაქტი, შემეძლო პირადად დამერეკა და გამერკვია, ან მეკითხა, თუ რამ დამაინტერესებდა, მაგრამ ახლა ეს რომ გავაკეთო, შეიძლება ორივე დაგვიჭირონ — მე ქრთამის მიცემაში, მოსამართლეს კი ქრთამის აღებაში დაადანაშაულებენ. ეს ზედმეტი შეზღუდვაა. ჩემი, როგორც ადვოკატის რჩევა იქნება უფრო დიდი ნდობა გამოუცხადონ მოსამართლეებს. ამით არ დაიქცევა სასამართლო. ინფორმაციის მიღების კუთხით პრობლემა არ შემქმნია. საერთო ჯამში კმაყოფილი ვარ ქუთაისის სასამართლოთი, ადრინდელთან შედარებით საკუთარი ჩრდილის არ ეშინიათ."

ნონა ფილავა (ადვოკატი): „ჩემი ნდობა სასამართლოსადმი ნაწილობრივ მოსამართლეებზეა დამოკიდებული. რაც მთავარია სასამართლო სამართლიანი უნდა იყოს, მოსამართლეები უნდა განთავისუფლდნენ და კანონის შესაბამისი გადაწყვეტილებები მიიღონ.

წინა მთავრობასთან შედარებით, დადებითი კუთხით შეიცვალა სასამართლოს მდგომარეობა, შუამდგომლობები უფრო კმაყოფილდება და ამ კუთხით არის პროგრესული ცვლილებები."

აკაკი ჯანელიძე (ადვოკატი):

აკაკი ჯანელიძე

„ვენდობი ქუთაისის სასამართლოს. ვისურვებდი, კანონმა მეტი დამოუკიდებლობა მიანიჭოს სასამართლოს და უფრო გამოცდილი კადრებით იყო წარმოდგენილი. ვფიქრობ, ღია და გამჭვირვალეა სასამართლო და ინფორმაციის გამოთხოვის კუთხით პრობლემა არ შემქმნია. როგორც ადვოკატი კმაყოფილი ვარ ქუთაისის სასამართლოს მუშაობით და არანაირი შენიშვნა არ მაქვს."

ბადრი ჩაკვეტაძე (მოქალაქე): „ვენდობი ქუთაისის სასამართლოს. სასამართლო, რა თქმა უნდა, სამართლიანი და თავისუფალი უნდა იყოს. ადრინდელთან შედარებით ეს განსხვავება აშკარაა. საჯარო ინფორმაციის მიღება არა ერთხელ დამჭირვებია და ამ მხრივ პრობლემა არ შემქმნია. კმაყოფილი ვარ სასამართლო სისტემით და მჯერა, რომ საქართველოს სასამართლოზე დაყრდნობით აქვს მომავალი."

კახა კუხალაშვილი (მოქალაქე): „რა თქმა უნდა, ვენდობი სასამართლოს. იგი, პირველ რიგში, სამართლიანი უნდა იყოს. სამოქალაქო დავების კუთხით მქონია შეხება და ყოველთვის ობიექტური გადაწყვეტილებები გამოუტანიათ. ჩემი აზრით, საკმაოდ ღია და გამჭვირვალეა, არც საჯარო ინფორმაციაზე შემქმნია რაიმე პრობლემა."

ელისო ონიანი (მოქალაქე): „ზოგადად კი ვენდობი, სასურველია საპროცესო კოდექსში რაღაც ცვლილებები შევიდეს, რაც უფრო მოქნილს და ადვილს გახდის სასამართლოსთან მუშაობას. საჯარო ინფორმაციის მოწოდებაზე ჯერ არ შემქმნია პრობლემა. მეორედ მაქვს შეხება ქუთაისის სასამართლოსთან და კმაყოფილი ვარ, სწრაფად ინიშნება პროცესებიც და ეს ხარისხზეც დადებითად მოქმედებს."

მერაბ მელაშვილი (მოქალაქე): „ქუთაისის სასამართლო იმსახურებს ნდობას, რადგან სამართლიანია. სასამართლო გამჭვირვალე და სამართლიანი უნდა იყოს, ჩემთვის მისი სისტემა მისაღებია. საჯარო ინფორმაციაზე დაბრკოლება არ შემქმნია, თავის დროზე მიმიღია პასუხი."

მურმან დეკანოიძე (მოქალაქე): „რა თქმა უნდა, ვენდობი, მაგიტომაც მივმართავ ხოლმე ქუთაისის სასამართლოს, ჩემთვის აბსოლუტურად დამაკმაყოფილებელია მისი მუშაობა, რასაც ვერ ვიტყვი წინა ხელისუფლების დროინდელ სასამართლოზე, პროგრესი აშკარაა. საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა ჯერ არ დამჭირვებია, თუმცა დარწმუნებული ვარ, არანაირი შეფერხება არ მექნება ამ მხრივ."

ნატო გუგელაძე

პროექტს ახორციელებს შპს „ბესთკომპანი ჯორჯია"
ელფოსტა: bestcompany_z@yahoo.com

ყვირის ჰოროსკოპი

ვერძი: მიმდინარე მოვლენებში თქვენი უშუალო მონაწილეობა აუცილებელი არ არის. ყურადღება მიაქციეთ ოჯახურ მოთხოვნილებებს, რადგან ისინი განსაზღვრავს თქვენ ქცევას. ნუ ჩაიკეტებით საკუთარ სამყაროში, უფრო მეტად დაეკონტაქტეთ სხვა ადამიანებს, იცხოვრეთ აქტიური ცხოვრებით.

კურო: წარმოუდგენელი აზრები დაგებადებათ, მაგრამ ამის გამო არ დასცინოთ საკუთარ თავს, ვინაიდან ეს აზრები მომავალში შესაძლებელია, თქვენი ბედის გადამწყვეტი აღმოჩნდეს.

ტყუპები: იგრძნობთ ენერგიის ნაკლებობას. მიაქციეთ ყურადღება მეგობრების რჩევას.

კირჩხიბი: ეცდებით დაიმსახუროთ ახლობლების ნდობა, მაგრამ ამისათვის საჭიროა ურთიერთგაგება, თქვენთან ურთიერთობა გაუჭირდება ადამიანს, რომელიც თქვენი მესაიდუმლეა.

ლომი: იყავით შრომისმოყვარე და ეს კვირა წარმატებულად ჩაივლის. კარგია ბუნებაში გასეირნება.

ქალწული: შეძლებთ წარმატებით დაასრულოთ ის საქმე, რომელიც დიდი ხნის წინ წამოიწყეთ. არ მოდუნდეთ და ისევ ისეთი შემართებით გააგრძელეთ საქმიანობა.

სასწორი: თუ ნოსტალგიამ შეგიპყროთ, მოინახულეთ დიდი ხნის უნახავი მეგობრები. გახსოვდეთ ახალი წარმატებების დროა. თუ საკუთარ თავში ჩაღრმავების სურვილი გაგიჩნდებათ, მრავალ კითხვაზე შეძლებთ პასუხის გაცემას.

მორიელი: შესანიშნავი დროა იმ ადამიანებისთვის, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია მიმოსვლასთან და ურთიერთობასთან, მოითხოვს ოპერატიულობას და გაბედულებას. ამ დროს აქტიური ცხოვრების წესით იცხოვრეთ.

მშვილდოსანი: თქვენი გეგმები შეიძლება შეიცვალოს. უარყოფით ემოციებს ნუ აჰყვებით. თქვენი შრომისუნარიანობა თქვენს მონდომებაზე იქნება დამოკიდებული.

თხის რქა: სხვა ადამიანებთან ურთიერთობას თუ დილიდანვე დაიწყებთ, უფრო მეტად სხვების პრობლემებით დაკავდებით. გასეირნება არაპერსპექტიული იქნება.

მერწყული: სიზარმაცე და დროის გაყვანის ტაქტიკა — ეს ნეგატიური ტენდენციები თქვენი დაბრკოლების მიზეზი გახდება. ასევე, მოგეჩვენებათ, რომ ყველაფერი შესანიშნავად მიდის. შ

თევზები: საღამოების მოწყობისა და გართობის დრო არ არის. უკეთესია მთელი ძალებით შეუდგეთ სამუშაოს და იმედი იქონიეთ, რომ ეს საქმე, საბოლოო ჯამში, სასარგებლო და კარგად ანაზღაურებადი იქნება.

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 3. ჰოკაიდო. 5. ამალა. 6. მის. 8. ალი. 9. გალია. 11. იურისტი.
შვეულად: 1. სკოლა. 2. კიი. 3. ჰიმალაი. 4. ოსირისი. 7. მაისი. 10. ბრა.

„ქუთაისი — ეს მუშაობს“ — კვლევის შედეგები

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „ქუთაისი–ეს მუშაობს“ კვლევის შედეგებს 2 ივლისს არასამთავრობო სექტორი გაეცნო. პროექტის მიზანია ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვასა და პრიორიტეტების გამოკვეთაში მოსახლეობის ჩართვა.

პროექტი ორწლიანია და 2016 წელს დასრულდება.

სულ 960 ადამიანი გამოიკითხა. გამოკითხულთა უმეტესობა მთავარ პრობლემად საკანალიზაციო სისტემის გაუმართაობას და გრაფიკით მიწოდებულ წყალს თვლის.

პროექტის დირექტორმა მერაბ მეშველიანმა არასამთავრობო სექტორს კვლევის შედეგები გააცნო.

„მნიშვნელოვანია, რომ მოსახლეობა და სამოქალაქო სექტორი იყოს აქტიურად ჩართული საკუთარი ქალაქის ბიუჯეტის დაგეგმარებაში და იმ მთავარი პრიორიტეტების გამოკვეთაში, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ჩვენი ქალაქისთვის. პროექტი ორწლიანია და, შესაბამისად, ჩვენ ერთად განვსაზღვრავთ რა უნდა იყოს მნიშვნელოვანი 2015-2016 წლების ქუთაისის ბიუჯეტში,“ — ამბობს მეშველიანი.

ნესტან ჩაგელიშვილი
psnews.ge

პოლიტიკური კარიკატურების გამოფენა ქუთაისში

ქუთაისის მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკში პოლიტიკური კარიკატურების გამოფენა გაიხსნა. საერთაშორისო გამოფენაზე წარმოდგენილია მსოფლიოს პოლიტიკოსების კარიკატურული ნამუშევრები. პროექტის მიზანია პოლიტიკური კარიკატურების, როგორც დამოუკიდებელი ჟანრის პოპულარიზება მსოფლიო მასშტაბით.

პროექტისა და კარიკატურული ნამუშევრების ავტორების თქმით, კულტურათა ურთიერთგაცვლა ხელს შეუწყობს ამ პოლიტიკური ჟანრის, როგორც კრიტიკის ინსტრუმენტის განვითარებას.

პოლიტიკური კარიკატურების საერთაშორისო გამოფენა პირველად 2010 წელს გაიმართა. პროექტი უკვე განხორციელდა ევროპისა და ამერიკის 19 ქალაქში.

ჟანა ჯანელიძე
psnews.ge

როგორ განვათავსოთ განცხადება გაზეთ „P.S.“-ში („პოსტსკრიპტუმში“)

უფასოდ
ქვემოთ მოცემულ კუპონზე

განცხადებების მიღება ხდება კერძო პირებიდან

დაბეჭდვის თარიღი დამოკიდებულია კუპონის მიწოდების თანმიმდევრობაზე
კუპონი უნდა ჩაბარდეს
რედაქციაში - ქ. ქუთაისი, რუსთაველის ქუჩა 37°;
სავაჭრო ცენტრ „ფუდმარტში“(ყოფილი „პოპული“) - წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“, რუსთაველის 141.
არ მიიღება კანონთან შეუსაბამო, შეურაცხმყოფელი, უხამსი, ეროტიკული შინაარსის განცხადებები.
განცხადების ღირებულება შედის გაზეთის ფასში

მცირე განცხადების კუპონი

აღნიშნე კატეგორია

უძრავი ქონება
☐ გავყიდი
☐ ვიყიდი
☐ გავაქირავებ

ავტო-მოტო
☐ ვიყიდი
☐ გავყიდი

სამსახური
☐ ვეძებ სამუშაოს

სხვადასხვა
☐ ვიყიდი
☐ გავყიდი
☐ სხვა

☐ **ცხოველები**

განცხადების შინაარსი

ტელ: >>

სახელი და გვარი (მხოლოდ რედაქციის ცნობისათვის)

კონტაქტი (მობილური ან სტაციონალური)

ელექტრონული ფოსტის მისამართი

☐ **არ ვარ განცხადების შინაარსთან დაკავშირებული კერძო მეწარმე**
☐ ვაცხადებ თანხმობას, ფირმის მიერ გამოყენებულ იქნას განცხადებაში აღნიშნული მონაცემები

ხელმოწერა გარკვევით

რედაქციას აქვს უფლება, კუპონზე შევსებული ერთჯერადი განცხადება დაბეჭდოს კუპონის ჩაბარების დღიდან 14 დღის განმავლობაში კუპონი (ერთჯერადი) არის ძალაში მისი გამოქვეყნების დღიდან 3 კვირის განმავლობაში.

07.07.2014



შეადგინა ალეკო ნემსაძემ

ვინ არის ფოტოზე?

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი **მაია მიმინოშვილი** პირველად **ნანა ფანცხავამ** ამოიცნო, შემდეგ სულიკო ფუტკარაძემ.

რას დაარქმევდით?

ბიბი უგულავა

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

კობა დავითაშვილი

„გარემოების საყვირი, ხან მიწისა ვარ, ხან ცისა...“

შაქრო გაბელაშვილი

დაგვიკავშირდით:
- **(0 431) 24-45-46, 24-82-25.**
- **psnews27@gmail.com**

კროსვორდი

თარაზულად: 3. აბუ იბნ სინას ლათინური სახელი. 5. კურკოვანი ხილი. 6. ალანი. 8. ვენესუელას მართავს ... ჩავესი. 9. ჩრდილო აფრიკელი, ანუ? 11. ტანსაბანი ვარცლი.

შვეულად: 1. იგივეა, რაც კინო. 2. დედამიწის ქალღმერთი. 3. კუნძულოვანი ქვეყანა ... და ბარბუდა. 4. მისი დედაქალაქია ვენა. 7. სანიაველელი. 10. ... კლარჯეთი.



მიზეზები, თუ რატომ უნდა შეამციროთ შაქრის დოზა!

თქვენი საყვარელი ადგილი ტკბილეულის მაღაზიებია. თქვენი ბავშვის ტორტის უდიდესი ნაწილი თქვენს თეფშზე აღმოჩნდება და წამებში ქრება. დილით ყავაში ყოველთვის ერთ (შეიძლება ორ) კოვზ შაქარსაც ყრით. დღის განმავლობაში, შოკოლადსაც მიირთმევთ. საერთო ჯამში, თქვენ გიყვართ შაქარი! მიუხედავად სინანულისა, თქვენ არ ფიქრობთ, შეწყვიტოთ შაქართან ურთიერთობა. გირჩევთ, რომ ზომიერება დაიცვათ ყველაფერში.

ნახშიროწყლები (გლუკოზა, ფრუქტოზა, სახამებელი), ასევე შაქარიც შეიცავს 4 კალორიას თითო გრამზე (1 კოვზი შაქარი უდრის 20 კალორიას). როდესაც შაქრის მიღება დაბალანსებულია, არ წარმოადგენს საშიშროებას. ხოლო, თუ შაქრის დოზას არ გავაკონტროლებთ, შესაძლოა გაგვასუქოს კიდეც. გასუქება იქით იყოს და, შაქრის გადაჭარბებულმა დოზამ, შესაძლოა, სხვა უკუჩვენებებიც გამოიწვიოს.

შაქარზე დამოკიდებულება

კვლევამ, რომელიც, ამერიკელმა ენდოკრინოლოგმა, Dr. Robert Lusting-მა ჩაატარა, აჩვენა, რომ შაქარზე დამოკიდებულება ჰგავს ნარკოტიკულ ნივთიერებებზე დამოკიდებულებას, ვინაიდან შაქრის გადაჭარბებული დოზა, გამოჰყოფს დოფამინს მორფინისა და ჰეროინის მსგავსად.

კვლევა ჩატარდა ვირთხებზე დაკვირვებით, ადამიანზე დაკვირვება არ განხორციელებულა, თუმცა ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ შაქრის მიღება იწვევს სიამოვნების შეგრძნების გამძაფრებას.

შაქარი აფუჭებს კბილებს

შაქარი აფუჭებს კბილებს, ამიტომაც არის, რომ დედა ყოველთვის ცდილობს ნაკლები ტკბილეული აჭამოს პატარას.

პირის ღრუში არსებულ ბაქტერიებთან ერთად, შაქარი გამოჰყოფს მჟავას, რომელიც 20 წუთის განმავლობაში აქტიურია და კბილებს საგრძნობლად ვნებს. უნდა მოერიდოთ ასევე შაქრის შემცველი გამაგრილებელი სასმელების მიღებას, რომელთა შემადგენლობაშია ციტრატი და ფოსფორი. კარიესი ძალიან ადვილად შეიძლება განვითარდეს, თუკი კბილებს სათანადოთ არ ვუვლით.

შაქრის გადაჭარბებით მიღება ასუქებს, ისევე, როგორც ჭარბი საკვები

კვლევების თანახმად, ჭარბი წონის ადამიანებს აქვთ მაღალი გლიკემიური ინდექსი. ასე რომ, დიეტის დროს მხოლოდ კალორიების და ნახშიროწყლების მიღებას არ უნდა ვერიდოთ!

შაქარი შეიცავს გლუკოზასა და ფრუქტოზას. თქვენს ორგანიზმს ესაჭიროება გლუკოზა. მეორეს მხრივ, ფრუქტოზა არ წარმოადგენს მეტაბოლიზმის ნაწილს და მას ორგანიზმი არ გამოჰყოფს. ასე რომ, ფრუქტოზის უმეტეს ნაწილს ღვიძლი გარდაქმნის ცხიმად, რაც თქვენს გასუქებას იწვევს.

ამდენი ვისაუბრეთ შაქრის გადაჭარბებით მიღებაზე, მოდით განვსაზღვროთ, რას ნიშნავს „გადაჭარბებით მიღება?" მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის კვლევებზე დაყრდნობით, მიღებული შაქარი უნდა შეადგენდეს დღის განმავლობაში მიღებული კალორიების 10%-ს. ეს ნიშნავს 12 კოვზზე ნაკლებ შაქარს დღის განმავლობაში ზრდასრულებისათვის. ასევე, 330 მლ. გამაგრილებელი სასმელი, შეიცავს 7 კოვზ შაქარს. 250 მლ. ხილის წვენიკი, 6 კოვზს (იგულისხმება ჩაის კოვზი).

საინტერესოა, Yale-ს სამედიცინო სკოლაში, 2013 წელს ჩატარებული კვლევა, რომელიც ამბობს, რომ ფრუქტოზი ჭამის მადას მატებს ადამიანს, ვინაიდან შიმშილის გრძნობას დიდი ხნით ვერ დაიკმაყოფილებთ.

ძალიან მცირეა სხვაობა თეთრ, ყავისფერ და შავ შაქარს შორის. მათში კალორიები, დაახლოებით, იგივე დოზითაა წარმოდგენილი. მცირე განსხვავება ვიტამინისა და რკინის შემცველობაშია, რომელიც ყავისფერ და შავ შაქარშია წარმოდგენილი. არსებობს ბუნებრივი დამატკბობელი, რომელიც კალორიებს არ შეიცავს, ეს არის სტევია. ხელოვნური კი ასპარტამი, სახარინი და სუკრალოზაა რა თქმა უნდა, ზემოთ ჩამოთვლილიც აუცილებლად უნდა მიიღოთ რეკომენდებული დოზით.

შაქარი ამცირებს ბუნებრივი სიტკბოს შეგრძნებას

შაქრის მიღებით თქვენ ამცირებთ გემოს შეგრძნებას, რომელიც ბუნებრივი საკვებიდან მიიღება. მაგალითად, თუკი მიირთმევთ ხილს, როგორიც მარწყვი და ქლიავია, უკვე აღარ გეჩვენებათ ტკბილი. ვისაც ტკბილეული გიყვართ, კარგი იქნება თუ პრიორიტეტს ბუნებრივ სიტკბოს მიანიჭებთ და კანფეტს ჩანაცვლებთ ხილითა და ბოსტნეულით, რადგან ორგანიზმისათვის ბევრად მარგებელია.

შაქარმა შეიძლება გაგიფუჭოთ კანი

თუკი კანზე ხშირად შენიშნავთ ჩირქოვან გამონაყარს, ეს შეიძლება გადაჭარბებული შაქრის მიღების ბრალიც იყოს. სამეცნიერო ჟურნალში, „Journal of the Academy of Nutrition and Dietetics"-ში გამოქვეყნდა კვლევები, სადაც შაქრით მდიდარ საკვებს კანის დაავადებებთან აკავშირებენ. სისხლში შაქრის მაღალმა დონემ შეიძლება გააააქტიუროს ჰორმონები, რომლებიც ცხიმოვნების აწევას იწვევს და აკნეს აღიზიანებს.

პრობლემა მხოლოდ ჩირქოვან გამონაყარში არ არის, შაქარი ნაოჭების მომრავლებასაც იწვევს, როგორც დერმატოლოგი, Dr. Nicholas Perricone ამბობს, შაქარს აქვს თვისება კანის კოლაგენისა და ელასტინის დეგრადაცია გამოიწვიოს. კოლაგენის დაშლისას, კანი ხდება მშრალი და მგრძნობიარე.

თუ გსურთ სახეზე ახალგაზრდული იერი შეინარჩუნოთ, შეამცირეთ შაქრის მიღების დოზა.

შაქარი ტვირთავს ღვიძლს!

შაქრის ყველაზე შეუმჩნეველი უარყოფითი მხარე არის ღვიძლის გადატვირთვა. როდესაც შაქრით მდიდარ საკვებს ან სასმელს იღებთ, შაქარი იმატებს სისხლში და ინსულინი გამოიყოფა. ღვიძლი კი ინსულინს სისხლიდან შაქრის მოშორებით „პასუხობს" გლუკოგენის შესაქმნელად. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ღვიძლი ამუშავებს გლუკოგენს და მას ცხიმად გარდაქმნის, რაც ღვიძლში გადაჭარბებული ცხიმის დაგროვებას იწვევს. ჭარბმა ცხიმმა ღვიძლში კი, შეიძლება მეორე კატეგორიის დიაბეტი გამოიწვიოს. ასევე, შაქარი ზრდის თირკმელებში კენჭის გაჩენის რისკს. უფრო კონკრეტულად კი, დღეში 1 ბოთლი გამაგრილებელი სასმელის მიღებით ეს შანსი 25%-ით იზრდება.

მოკლედ, გირჩევთ, ბევრ შაქარსა და მის შემცველ გამაგრილებელ სასმელებს ამჯობინეთ წყალი ან უშაქრო ჩაი.

feme.ge

სურათზე მოცემულია, თუ რამდენ შაქარს შეიცავს თქვენი საყვარელი სასმელი

რამ შემაძულა „ბუბლიკები"

„ბ.ს.ფოტო" (ჟანა ჯანელიძე) ©

გუშინ, როდესაც სამსახურიდან სახლში მივდიოდი, მთელი დღის მოშიებულმა გადავწყვიტე, რამე ტკბილეული გამეყოლებინა ხელს. ვაღიარებ, მაღაზიების საკონდიტრო განყოფილების ხშირი სტუმარი ვარ ხოლმე. იმ დღესაც, ჩვეულებისამებრ, ვესტუმრე ჩემს „ამოჩემებულ" მარკეტს, სადაც უთქმელად იციან, რისი ყიდვა მინდა. „ჩემი „ბუბლიკები" ამიწონეთ-მეთქი" – ვუთხარი გამყიდველს და საფულეში შემთხვევით შემორჩენილი ლარიანი მივაწოდე.

გამყიდველმაც არ დააყოვნა და მომცა საკონდიტრო ნაწარმი. ჩანთაში ჩავიდე და წამოვედი, თუმცა, რაღა დაგიმალოთ და, ერთი სული მქონდა, სახლში როდის მივიდოდი, ძალიან მშიოდა.

აუტანელი სიცხისგან გაბრუებული მივედი თუ არა სახლში, მაშინვე საჭმელს დავეწაფე, კარგად დანაყრებულმა კი ტელევიზორთან მოვიკალათე და დავიწყე ჩემი „ბუბლიკების" მადიანად მირთმევა. ძველებურად არ მესიამოვნა მისი გემო, თუმცა, არ შევიმჩნიე და განვაგრძე ჭამა. ნუგბარი ჩემს დიასახლისსაც ვუწილადე, დიდი ძალდატანებით (მორიდებული ქალია).

ცოტა ხნის შემდეგ კი ძალიან შემაწუხა უსიამოვნო გემომ და სრულიად შემთხვევით დავხედე „ბუბლიკს", რას ვხედავ: ჩემს ნაკბეჩზე „ამაყად" დაბიჯებს თეთრი მატლი, რომელსაც რამდენიმე ბუდე გაუკეთებია საყვარელ საკონდიტრო ნაწარმში. ვერ აღვწერ, რა დამემართა!

პირველ რიგში საპირფარეშოს „მივმართე", შემდეგ კი ჩემი 86 წლის დიასახლისი გამახსენდა, რომელსაც ის-ის იყო უნდა დაეწყო ჭამა, რომ მივვარდი და ხელიდან გამოვგლიჯე „მატლიანიას" შეძახილით. მინიმუმ, ორი საათი მაინც დამჭირდა მოსასულიერებლად, შემდეგ კი ავიღე დარჩენილი „ბუბლიკები" და ჩემს უკვე საძულველ მაღაზიას მივმართე გაცეცხლებულმა.

შევედი თუ არა მარკეტში, მაშინვე დახლიდარ ქალს მივვარდი: ეს რა მომყიდეთ-მეთქი, მან გაიკვირვა და ისე შემომხედა, თითქოს რაღაცას ვუშავებდი, ჩემს ბრალდებაში ეჭვი რომ არ შეეტანა, ფოტოაპარატით სულ რამდენიმე წუთის წინ გადაღებული ფოტოები ვაჩვენე მტკიცებულების სახით. ძალიან ბევრი ბოდიში კი მიხადა, თანაც გამომდინარე იქიდან, რომ ჩეკიც არ მოუცია, შეეშინდა და კუთვნილი თანხაც სასწრაფოდ დამიბრუნა.

აქამდე არაერთხელ შევსულვარ იმ მაღაზიაში, მაგრამ აუტანელი სიცხე მხოლოდ ცხელ გულზე შესულმა დავაფიქსირე, შემდეგ ისევ ჩემი მირთმეული მატლები გამახსენდა. გამყიდველს მოვთხოვე ეჩვენებინა ყუთი, საიდანაც აიღო „ბუბლიკები", თუმცა აღმოჩნდა, რომ სულ სხვა მუყაოში ჰქონდა ჩაყრილი. მითხრა, რომ ათი დღის უკან მიიღო აღნიშნული პროდუქტი და მისი ბრალი არ არის, თუ მატლი სახლობდა შიგნით. შესაბამისად, არ მითხრა რომელი დისტრიბუცია ამარაგებდა. თუმცა, მიმდებარე მაღაზიების გამყიდველებთან გასაუბრებით ადვილად გავიგე რუსულ-უკრაინული ფირმის მომმარაგებლის სახელი „ხარკოვი".

გამყიდველთან ჩხუბს აზრი არ ჰქონდა, წამოვედი და ჩემს თავზე ვბრაზდებოდი, რაღა მაინცდამაინც მე უნდა დამემართოს ყველანაირი უბედურება? ამას წინათ რედაქციაში ე.წ. კრეკერი ამოვუტანე თანამშრომლებს, რომელშიც გაურკვეველი წარმშობის ძაფები აღმოჩნდა.

აღმოჩნდა, რომ ჩემი „ბუბლიკების" ხარისხს არავინ აკონტროლებს. შემყვება თუ არა მატლი მისი ჭამისას, მხოლოდ გამყიდველისა და დისტრიბუტორის პატიოსნებასა და ჩემს გაფაციცებულ ყურადღებაზეა დამოკიდებული. არ არსებობს რაიმე კონტროლი მაღაზიაში დაძველებული პროდუქტების შესამოწმებლად. ან თუ არსებობს, არ მუშაობს...

ვინ დაეძებს რას ვჭამთ, ისეც მოწამლულ გარემოში?

ერთი კია, არასდროს არ დამავიწყდება ის საშინელი „ზლაზვნა", რასაც ჩემს მუცელში წარმოვიდგენ ხოლმე და რამაც შემაძულა ჩემი საყვარელი „ბუბლიკი".

ჟანა ჯანელიძე
psnews.ge

MEGA CREDIT
ფულადი გზავნილები
ქუთაისი, რუსთაველის 141. (0 431) 27 52 45; ჭავჭავაძის 55/2. (0 431) 27 67 10

წიგნების მაღაზია ქიმერიონი
qimerioni.ge
ყოველგვარი ფასნამატის გარეშე შეიძინეთ:
• ქართული თუ უცხოური ლიტერატურა;
• კლასიკოსი და თანამედროვე მწერლების ნაწარმოებები;
• მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული საბავშვო შემეცნებითი და გასართობი წიგნები;
• სამეცნიერო ხასიათის გამოცემები;
• ენციკლოპედიები;
• ლექსიკონები;
• ჟურნალ-გაზეთები
წიგნები შენ გელოდება!
ქუთაისი, სავაჭრო ცენტრი „ფუდმარტი" (ყოფილი „პოპული"), წიგნების მაღაზია „ქიმერიონი".
ტელეფონი: 790 927 927; (0 431) 274 474